საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„დიოგენე“



160px|thumb|გამომცემლობა „დიოგენე"

„დიოგენე“, გამომცემლობა (შპს). დაარსდა 1995 წელს თბილისში (დამფუძნებელი და დირექტორი – თ. ლებანიძე).

„დ"-ს გამოცემული აქვს როგორც სხვადასხვა ჟანრის ორიგინ. ქართული და უცხოურიდან თარგმნილი მხატვრული, ისე სამეცნ. და სასწ.- შემეცნებითი ლიტ-რა (საქართვ. ატლასი მოზარდთათვის, მუსიკის, რელიგ. და სპორტის საყმაწვილო ენციკლოპედიები).

„დ"-თვის პრიორიტეტულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოების, სასკოლო თვალსაჩინოებების, პლაკატების, ლექსიკონების, ალმანახ „ახალი თარგმანების" (პერიოდულად) და სხვ. გამოცემა.

"დ." ხშირად აწყობს ლიტერატურულ კონკურსებს – საბავშვო პროზაიკოსებისთვის (1996), „პენ მარათონს" (2002, 2003, 2004, 2005, 2007), ახალგაზრდა მთარგმნელი პოეტებისათვის (2010); სასკოლო კონკურსებს, საქველმოქმედო აქციებს.

დ-ს გამოცემები გამოირჩევა თანამედროვე დიზაინით, სამგანზომილებიანი ილუსტრაციებით, ახლავს აუდიოდისკები. არის მრავალი პრემირებული ნაწარმოების გამომცემელი.

ა. ქაბაშვილი